პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 142 (2505) ◉ სამშაბათი, 21 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ.

## ოლიმპიური გატაცება

კოლექცია დიდი არაა. მუშა-ელექტრომემონტაჟე ვ. კორჩაგინმა 260 სპორტული ნიშანი შეაგროვა, რომლებიც ორ პატარა ალბომში მოათავსა. კოლექცია უნიკალურია, რადგან მისი ყველა ნიმუში ოლიმპიური ნიშანია.

ეს ნიშნები სხვადასხვა გზით მოხვდა კორჩაგინთან: ბევრი მათგანი კოლექციონერს აჩუქეს მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა, ბევრიც საზღვარგარეთელმა სპორტის მოყვარულებმა და კოლექციონერებმა გამოუგზავნეს.

კორჩაგინის ალბომში წარმოდგენილია თითქმის ყველა ოლიმპიადის ემბლემა. აი, მაგალითად, ნიშანი ლურჯი მინანქრის წრითა და შვეციის ღერბით. იგი 1912 წელს სტოკჰოლმში ჩატარებული ოლიმპიადისადმია მიძღვნილი. მის გვერდით კი ვხედავთ 1928 წელს ჩატარებულ IX საზაფხულო და ზამთრის II თამაშების ემბლემებს.

ძალზე ლამაზია 1932 წლის ზამთრის III თამაშების მონაწილის მოვერცხლილი ნიშანი. სხვათა შორის, ეს ემბლემა ძალიან იშვიათია, რადგან ამ ოლიმპიადაში მხოლოდ 370 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჩვენ ყველას გვინახავს საბჭოთა ოლიმპიური ნიშნები, მაგრამ ვ. კორჩაგინმა ჰელსინკის XV ოლიმპიადისადმი მიძღვნილ ემბლემას მიაგნო, რომელიც შემდგომში სერიულად არ დამზადებულა, რადგან საბჭოთა გუნდისთვის ნიშნები სხვა ესკიზით გააკეთეს. ეს ნიშანი კი სულ რამდენიმე ცალია და ერთ-ერთი მათგანის მფლობელი ვ. კორჩაგინი აღმოჩნდა.

## ვოლოგდელთა არშიები

საბჭოთა სპორტსმენ ქალებს, რომლებიც ტოკიოში გაემგზავრებიან, კაბებზე ექნებათ რუსული ნაირსახოვანი არშიები. ამ მიზნით საუცხოოდ შესრულებული არშიები დაამზადა ვოლოგდის არტელ „სნეჟინკას" 220-მა ოსტატმა ქალმა.

ვოლოგდელებმა ჩვენი ოლიმპიელი ქალიშვილები ასე დალოცეს: „დაე, ამ არშიებმა სიხარული მოგიტანოთ და შეგახსენოთ ხოლმე, რომ ჩვენც — ვოლოგდელ ქალებს — შეგვტკივა გული და მოუთმენლად ველით ცნობებს თქვენს წარმატებებზე ტოკიოდან.

## ლ. ჟაბოტინსკი — ჩემპიონი

კიევი, 20 ივლისი (ტელეფონით). გუშინ ძალოსნობის კიეველ მოყვარულებს იმედი გაუცრუვდათ: შეჯიბრების ბოლო დღეს ისინი განუზომელი ინტერესით ელოდნენ ორი გოლიათის — იუ. ვლასოვისა და ლ. ჟაბოტინსკის შერკინებას, მაგრამ ახლაც მხოლოდ ერთი — ამჯერად ჟაბოტინსკი გამოვიდა ფიცარნაგზე. ახლაც იმიტომ ვამბობთ, რომ უკანასკნელ ხანს, როგორც ერთი, ისე მეორე, ცალცალკე აუმჯობესებდნენ მსოფლიო რეკორდებს და შეჯიბრებაზე მათი ერთად ხილვა ვერასგზით ვერ „მოხერხდა".

მიუხედავად სუსტი კონკურენციისა, ზაპოროჟიელი გოლიათი საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი და იერიში მიჰქონდა როგორც საკუთარ, ისე ვლასოვის რეკორდებზე. სამწუხაროდ, ვერც ერთ შემთხვევაში ცდა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, მაგრამ ჟაბოტინსკის მიერ მოგროვებული კილოგრამები (535) საკმარისი აღმოჩნდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად ზემძიმე წონაში.

კიევში დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატი საკმაოდ უხვმოსავლიანი გამოდგა. დამყარდა სსრ კავშირის 7 რეკორდი, მათგან 2 მსოფლიო რეკორდს აღემატება. რეკორდების ავტორები არიან: ვ. სმეტანინი (უმჩატესი წონა) — აკვრა 123 კგ, სამჭიდი 312,5; ვ. კაპლუნოვი (მსუბუქი წონა) — სამჭიდი 422,5; ვ. ბელიაევი (ქვესაშუალო წონა)—აკვრა 176,5, ვ. გოლოვანოვი (ქვემძიმე წონა) — სამჭიდი 485; რ. შეიერმანი (მძიმე წონა) — აჭიმვა 170,5, სამჭიდი 500. ვ. ბელიაევისა და ვ. გოლოვანოვის შედეგები ამავე დროს მსოფლიო რეკორდებია.

## სათის!

◆ კრაკოვი, 20 ივლისი. სტუდენტთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის გუნდმა გაინაღდა I ადგილი მესამე ნახევარფინალურ ჯგუფში (6,5 ქულა 8 შესაძლებლიდან). საბჭოთა სტუდენტებმა დაამარცხეს მონღოლეთისა (3,5:0,5) და ისლანდიის (3:1) გუნდები.

◆ ბუდაპეშტი, 20 ივლისი. ლ. ასტალოშის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში გათამაშდა 11 ტური. გადამწყვეტი ხუთი ტურის წინ ლიდერობს საბჭოთა ოსტატი ა. გიპსლისი — 8,5 ქულა. მას 0,5 ქულით ჩამორჩება ბულგარელი დიდოსტატი მ. ბობოცოვი. საბჭოთა დიდოსტატ რ. ხოლმოვს 6 ქულა აქვს.

◆ ლვოვი, 20 ივლისი. დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა საიპოდრომო მოტორბოლაში. პირველი ადგილი წილად ხვდა ლვოვის არმიელთა I ნაკრებს.

◆ მოსკოვი, 20 ივლისი. სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს XVI საჭადრაკო ოლიმპიადაში. გუნდში შევიდნენ: მ. ბოტვინიკი, პ. კერესი, ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი და ლ. შტეინი. მ. ტალი და დ. ბრონშტეინი ნაკრების კანდიდატები არიან.

◆ ლენინგრადი, 20 ივლისი. იუგოსლავიისა და ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეთა სამატჩო შეხვედრის დამთავრების შემდეგ გაიმართა ტრადიციული მატჩი ლენინგრადი—ბელგრადი. დღეისათვის წინ არიან საბჭოთა მოჭადრაკეები — 6:5.

◆ მოსკოვი, 20 ივლისი. გალეას თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ბუქარესტს გაფრინდა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ახალგაზრდული გუნდი შემდეგი შემადგენლობით: ა. მეტრეველი, ვ. კოროტკოვი, ა. ივანოვი, პ. ლამპი.

◆ რიგა, 20 ივლისი. ლატვიაში სტუმრობენ ბუქარესტის კალათბურთელთა გუნდები. სტუმრებმა გაიმარჯვეს ქალთა შეხვედრაში — 55:48 (მათ დაამარცხეს ვეფ-ის გუნდი). ვაჟთა კოლექტივების მატჩი ფრედ დამთავრდა — 74:74.

◆ ვარშავა, 20 ივლისი. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტრადიციულ ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, დანიის, პოლონეთის, რუმინეთის, შვეციისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები, ორმა საბჭოთა მოჭიდავემ — ტროსტიანსკიმ (ქვემსუბუქი წონა) და ოლეინიკმა (საშუალო წონა) პირველი ადგილები დაიკავეს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" კლასი



სურათზე: მეორე ბურთი კიევის „დინამოს" კარში! იგი გაიტანა თბილისელთა მარცხენა გარემარბმა ი. დათუნაშვილმა. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს — 2:1.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ორი 11-მეტრიანი...

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 20 ივლისი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 2:1 (1:1).

**თბილისი:** კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი.

**კიევი:** ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო, ტურიანჩიკი, ვერიგინი, სერებრიანიკოვი, კანევსკი (ბაზილევიჩი), ბიბა, მედვიდი.

მსაჯი ა. ალოვი (ლენინგრადი).

გუშინდელი მატჩი თბილისისა და კიევის დინამოელთა შორის უაღრესად დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში ჩატარდა. ნერვიულობდა ორივე გუნდი, მოთამაშეები ხშირად გადადიოდნენ დაწესებულ სპორტულ ნორმებს და ლენინგრადელ მსაჯს ალოვს საგანგებო ზომების მიღება დაჭირდა მინდორზე წესრიგის დასამყარებლად. ერთ-ერთი ასეთი ლონისძიების შედეგად აშკარა უხეშობისათვის მინდვრიდან იქნა გაძევებული კიეველთა ფორვარდი სერებრიანიკოვი.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელები დასაწყისიდანვე განუწყვეტლად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, პირველი ბურთი გატანილ იქნა სწორედ კიეველთა მიერ. მისი ავტორი იყო მედვიდი. ანგარიში გათანაბრდა 36-ე წუთზე: სტუმრების მცველმა ოსტროვსკიმ ხელით გამოიტანა კარისკენ წასული ბურთი და მეტრეველმა ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1:1.

მეორე ტაიმის მე-17 წუთზე დათუნაშვილმა ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი და თბილისელებმა ეს ანგარიში — 2:1 — მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს.

აღსანიშნავია, რომ კიეველებს ჰქონდათ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა: მათ მიიღეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, მაგრამ კოტრიკაძემ შეძლო (ეს უკვე მერამდენედ!) სერებრიანიკოვის მიერ კარის მარცხენა კუთხეში გაგზავნილი ბურთის მოგერიება.

## ქუთაისელები ამარცხებენ ჩემპიონს

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 20 ივლისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:0 (1:0).

**„ტორპედო":** ურუშაძე, ლოხაბერიძე, ნიშნიანიძე, ოდიკაძე, კუტივაძე, სიამაშვილი, ავალიანი, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, სარჯველაძე, ხერხაძე.

**„დინამო":** იაშინი, კესარევი, ანიჩკინი, გლოტოვი, მახლოვი, მუდრიკი, ჩისლენკო, ვშივცევი (გუსაროვი), ბობკოვი, ივანოვი, ფადეევი.

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

ამ მატჩში სსრ კავშირის ჩემპიონმა თავისი მონდომების მაქსიმუმი ჩააქსოვა. „დინამოს" რომ 2 ქულა სჭირდებოდა, ეს ცხადია და გასაგები. მაგრამ ამ 2 ქულის გარდა ჩემპიონს რევანშის წყურვილიც ამოქმედებდა გასულ სეზონში თავის მოედანზე ქუთაისელებთან წაგებული მატჩის გამო. ერთი სიტყვით, მატჩის პირველი წუთიდან მსაჯის საფინალო სასტვენამდე მოსკოველი ფეხბურთელები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ... „ტრადიციულ" 0:1-ს ვერ გადაურჩნენ.

36-ე წუთზე ქუთაისელთა საჯარიმო მოედანში სწრაფად შემოიჭრა ვშივცევი. უკანასკნელ მომენტში მან მეკარის გასწვრივ ჩამოაწოდა ბურთი, რომელიც ურუშაძემ მოიგერია. შემდეგ ბურთთან გაჩნდა სიამაშვილი და ზუსტად გადააწოდა კუტივაძეს. ამ უკანასკნელმა კი თავისუფალ ადგილზე ოსტატურად გაიყვანა ავალიანი. ახალგაზრდა თავდამსხმელმა მშვიდად აუარა გვერდი მოსკოველთა რამდენიმე მცველს, გავიდა იაშინის პირისპირ და ასევე მშვიდად გადაუგდო მას თავზე ბურთი. კომბინაცია, რომელმაც „ტორპედოს" გამარჯვება მოუტანა, 37-ე წუთზე დასრულდა.

შემდგომში ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ მათი გამოყენება ვერ მოხერხდა. ქუთაისელებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს და ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ მისი ავტორი გუნდის ყველა 11 წევრი იყო.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 1:0.

ლ. ფაჩუაშვილი

(ჩვენი საკ. კორ.).

## ავსტრალიელთა თხოვნა დააკმაყოფილეს

პირვანდელი განაცხადით ავსტრალია ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ორასამდე სპორტსმენს აგზავნიდა (მომსახურე პერსონალთან ერთად). მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის წინაშე მთელი რიგი სიძნელეები წარმოიშვა, რის გამოც საჭირო გახდა მონაწილეთა რიცხვის გაზრდა. ამაზე ავსტრალიამ ოფიციალურად მიმართა ტოკიოს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს და მისგან დადებითი პასუხი მიიღო.

თამაშების პერიოდში ტოკიოს 221 ავსტრალიელი ეწვევა. ამან ქვეყნის საოლიმპიადო ხარჯები 2 მილიონ შვეიცარიულ ფრანკამდე გაზარდა.

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი — მდგომარეობა 21 ივლისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 14 | 8 | 4 | 2 | 28—11=+17 | 20 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 15 | 8 | 4 | 3 | 19— 6=+13 | 20 |
| „დინამო" (თბილისი) | 15 | 8 | 4 | 3 | 20—12=+ 8 | 20 |
| სკა (როსტოვი) | 15 | 9 | 1 | 5 | 23—11=+12 | 19 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 15 | 6 | 7 | 2 | 20—10=+10 | 19 |
| „დინამო" (კიევი) | 15 | 6 | 6 | 3 | 20—14=+ 6 | 18 |
| ცსკა | 14 | 6 | 5 | 3 | 21—12=+ 9 | 17 |
| „დინამო" (მინსკი) | 14 | 4 | 7 | 3 | 7—6 =+ 1 | 15 |
| „ვოლგა" (გორკი) | 16 | 4 | 7 | 5 | 9—17=— 8 | 15 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 15 | 5 | 3 | 7 | 9—19=—10 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 16 | 3 | 7 | 6 | 6—16=—10 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 4 | 4 | 5 | 13—11=+ 2 | 12 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 15 | 3 | 6 | 6 | 13—17=— 4 | 12 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 15 | 3 | 5 | 7 | 8—16=— 8 | 11 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 14 | 4 | 2 | 8 | 8—16=— 8 | 10 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 14 | 2 | 3 | 9 | 10—23=—13 | 7 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 13 | 2 | 3 | 8 | 10—27=—17 | 7 |

ცსკა — „შინიკი" 10:2.

„სპარტაკი" — „დინამო" (მინსკი) 0:0.

„ზენიტი" — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:4.

„ვოლგა" — „კრილია სოვეტოვი" 1:1.

„შახტიორი" — სკა (როსტოვი) 1:2.

პროფკავშირების XI ალპინიადა

# გამარჯვება „გამარჯვებაზე“

**პროფკავშირების** ალპინიადა წელს ხდის ხეობაში გაიმართა. ალპინიზმის ენთუზიასტს გ. გოჩიაშვილს წინასწარ უზრუნია საბანაკო ადგილის შესარჩევად. ჩანჩქერების ძირში, ტერასებსა და ბორცვებზე, გაიშალა ბანაკი. პირველი ორი დღე საჭურვლის მორგებასა და შეკეთებას მოუნდა. შემდეგ დაიწყო ნამდვილი ცხოვრება. კლდეზე ცოცვა, მთის აქაფებულ მდინარეებზე გადასვლა, ციცაბო ფერდობებზე სიარული, ლაშქრობები... ალპინიადის უფროსი, სპორტის ოსტატი დ. ობოლაძე ყოველთვის პოულობდა დროს ახალბედა მთასვლელებისთვის თავისი მდიდარი გამოცდილების გასაზიარებლად.

ერთი კვირის საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ საბოლოოდ დაკომპლექტდა ჯგუფები: ახალბედების, ნიშნოსნებისა და თანრიგოსნებისა. მათ სათავეში ჩაუდგა გამოცდილი ინსტრუქტორები. ახალბედათა მწვრთნელად დაინიშნა ოლიმპიადის უცვლელი ინსტრუქტორი წ. ცერცვაძე.



... და აი, თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა 22-კაციანი ჯგუფი ვ. მარგველის ხელმძღვანელობით გაემართა ხდეს სათავისაკენ. აქ არიან—ე. ლუკაშვილი, გ. ცინცაძე, ლ. გუნთიაშვილი, ქუთაისელი მთასვლელები გ. თუთაშვილი, ს. კიშიძე, მ. ფრუიძე და სხვ. მათ შავანას ქედის მწვერვალებზე უნდა მოეხდინათ ასვლები. ბილიკი ხან უზარმაზარ ლოდებს შორის მიიკლაკნება, ხან მდინარის ნაპირს შეუყვება, ხანაც კლდეზე გაიჭრება. მძიმე ზურგჩანთებს ქვეშ მშვილდივით იდრიკება წელი. შავანას ქედზე გაწოლილმა ტყვიისფერმა ღრუბლებმა თანდათან ხევში ჩამოიწია და მდინარის შხეფებს წვიმაც შეუერთდა. დროდადრო გადაიყრებოდა ჯანღი და გამოჩნდებოდნენ ქილარა მწვერვალები. ზევით თოვდა...

საღამოს ბანაკი ყუროს ძირში, ტაფობში გავშალეთ. დილით საწვრთნელი ასვლა მოეწყო მწვერვალ ყუროზე. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა: ყველანი ავიდნენ მწვერვალზე და შემდეგ დღეს რუსთავის ყინვარის მარჯვენა ნაპირზე მოვაწყვეთ საიერიშო ბანაკი—ყინულვარდნილების ძირში. ჩვენამდე ჩანჩქერების ხმაური აღარ აღწევდა, მაგრამ მყუდროებას დროდადრო ყინვარებიდან მოსხლეტილი ზავების ბუბუნი არღვევდა.

მოწმენდილი დარი დადგა... დილის 5 საათზე გავდივართ იერიშზე. საჭიროა მზის სხივებს დავასწროთ ყინულვარდნილზე ასვლა. მზით შემთბარი გაყინული კლდეები იწყებს დაშლას და სკდომას... თანაც დიდი ტემპერატურისგან დამძიმებული ახალი თოვლის ფენა შესაძლოა ზვავებად იქცეს. ჩვენ ხომ ასეთ ჩამოშვავებულ თოვლსა და ყინულზე მივაბიჯებთ.

8 საათზე უკვე რუსთავის ცირკზე ვდგავართ. რუსთავის ცირკი ვარცლისებური მოყვანილობის ფირნის ველია, რომლის გარშემო ალმართულან მწვერვალები: „ი. ჭავჭავაძე“, „ა. წერეთელი“, „ს. ჯაფარიძე“, „გამარჯვება“... გეზი დიდი ილიას სახელობის მწვერვალისკენ ავიღეთ. გადავჭერით მთისძირა დიდი ნაპრალი, ავედით უნაგირზე, ხოლო იქიდან გაჭიმული თოკებით მწვერვალზე მოვხვდით. თანრიგოსანთა შვიდკაციანმა ჯგუფმა „ჯაფარიძის“ მწვერვალს შეუტია და ორი „ნადავლი“ მწვერვალით საიერიშო ბანაკში დავეშვით.

ღამით ამინდი კვლავ შეიცვალა. შეუწყვეტლივ თოვდა. მეორე დღისთვის ჩვენი ნაფეხურები ახალ თოვლს ამოევსო და ხელახლა მოგვიხდა საფეხურების ჭრა. ამჯერად „რუსთაველისა“ და „წერეთლის“ მწვერვალებმა მოიდრიკეს ქედი.

25 ივნისს ამინდმა მკვეთრად იწყო გაუარესება. თოვლს ძლიერი ქარიც დაემატა. მყინვარებში ჩაჩხულ კარვებს ქარი არყევდა და ფხრეწდა. დილით ქარი ჩადგა. მწვერვალები ნისლში იხრჩობოდნენ.

ვსარგებლობთ ამინდის „შესვენებით“ და ამჯერად „გამარჯვების“ მწვერვალს ვუტევთ. შუადღიდან ამინდი ისევ შეიცვალა. მწვერვალის დანისპირული ქედიდან ქარი უფსკრულებისკენ „გვერეკებოდა.“ გათოშილი ხელებით იჩეხებოდა საფეხურები, მაგრდებოდა და იჭიმებოდა თოკები. უკანასკნელი თოვლიანი თხემიც, და ყველანი უსიტყვოდ ხარობდნენ „გამარჯვების“ მწვერვალზე გამარჯვებით გამოწვეულ სიამაყეს.

28 ივნისს ალპინიადის მთელი შემადგენლობა მწვერვალ „გორისკენ“ გაემართა. არც ახალბედებს გაუმართლა ამინდმა: ორი დღე თოვასა და ქარში მიდიოდნენ მწვერვალისკენ. გამოცდილი ინსტრუქტორების დახმარებით 45 ახალბედა ავიდა მწვერვალზე. ეს იყო მეშვიდე მწვერვალი, რომელიც პროფკავშირების XI ალპინიადის მონაწილეებმა დაიპყრეს.

**ვ. გაგილაშვილი,**
ალპინიზმის ინსტრუქტორი.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** შავანას ქედი. დროშებით აღნიშნულია ალპინიადის მონაწილეთა მიერ დაპყრობილი მწვერვალები.

ფოტო **ლ. ღლონტისა.**

# კინოსტუდიის „ვარსკვლავები“

**კარბია** დასვენება ტურისტული ლაშქრობის შემდეგ მინგეჩაურის წყალსაცავის ნაპირებზე თუ ჯვრის ან ზედაზნის მიდამოებში. ასეთ ლაშქრობებს ხშირად აწყობს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ტურიზმის სექცია. ჩვენ შემთხვევით როდი დავიწყეთ ლაპარაკი ამ სექციით. სტუდიის ფიზკულტურულ კოლექტივში სწორედ მას ჰყავს ყველაზე მეტი „გულშემატკივარი“. მიმდინარე წელს თევზჭერისა და მონადირეობის სექციებთან ერთად გაიმართა ლაშქრობა მინგეჩაურის წყალსაცავზე. ტურისტებმა მოაწყეს კიდევ ორი ლაშქრობა: თბილისი—იყალთო — თბილისი და თბილისი—ბირთვისი—სახიზნოები—თბილისი. ისევე, როგორც გასულ წელს, ლაშქრობები ორდღიანი იყო, ამასთან, ასე ვთქვათ, გამოყენებითი ხასიათისა. მოლაშქრენი, რომელთა სათავეში ოპერატორი გ. ჭუბაბრია იდგა, ხასიამოვნოს საქიროსთან ახამებდნენ. ისინი ადგენდნენ ფილმოტეკებსა და კარტოტეკებს, რაც შემდეგში კინოსტუდიის შემოქმედებით მუშაკებს ნატურის შერჩევაში დაეხმარება.

მაგრამ არ გეგონოთ, რომ აქ მხოლოდ ტურიზმს ეთმობა ყურადღება. აი, ერთი ფაქტი: კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის გაერთიანებულმა კოლექტივმა ჯანმრთელობის II საკავშირო დაუსწრებელ კომპლექსურ სპარტაკიადაში პირველი ადგილი მოიპოვა.

კოლექტივში 250-მდე სპორტსმენია, რომლებიც გაერთიანებული არიან ტურიზმის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, თევზჭერისა და მონადირეობის, სროლის, ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთისა და ცურვის სექციებში.

სექციებს თავიანთი ფავორიტებიც ჰყავთ. კინოსტუდიის მუშაკმა გ. სიხარულიძემ საქართველოს წლევანდელ პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთში II ადგილი დაიკავა. მას „თადარიგში“ აქვს რამდენიმე საოსტატო ქულა. თუმცა, ინტერესს მოკლებული არ არის ერთი საგულისხმო დეტალი: სტუდიის სპარტაკიადაზე გ. სიხარულიძემ სენსაციური „ფიასკო“ განიცადა— აქაც II ადგილზე დარჩა და ადგილობრივ იუმორისტებს თემად „არც ისეა საქმე!“-ს მოტივი მისცა.

წლის დამდეგს აქ დიდი საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს კინემატოგრაფისტთა ჩემპიონატი. კინოქრონიკის რედაქტორს — ა. ხუჭუას კი, რომელმაც ამ საჭადრაკო ბატალიებში გაიმარჯვა, მთლად „კინოვარსკვლავის“ თუ არა, „საჭადრაკო კინოვარსკვლავის“ ტიტული შეიძლება ვუბოძოთ.

აპრილში ჩატარდა შეჯიბრება ტყვიით სროლაში. სტუდიის ხელბურთელებმა კი კოლექტივის აქტივს საამაყო გამარჯვებები შესძინეს რუსთავისა და ბაქოს „სპარტაკის“ ნაკრებ გუნდებთან შეხვედრის შემდეგ.

პროფესიული ვალდებულებით კინოსტუდიის მუშაკებს ხშირად უხდებათ „მშობლიური“ ადგილსამყოფელის დატოვება. მაგრამ ამ „ხელისშემშლელი“ ფაქტორის მიუხედავად, ისინი წარმატებით იცავენ თავიანთი კოლექტივის სპორტულ ღირსებას. ამ წარმატებებში მცირე წვლილი როდი შეაქვს ფიზკულტურის ინსტრუქტორს ა. ქამუშაძეს.

როგორც ხედავთ, კინოსტუდიის მუშაკები არც ფიზკულტურულ საქმიანობაში კარგავენ დროს უქმად. თუმცა, ერთ რამეში მაინც კარგავენ: რა იქნებოდა „ქართულ ფილმს“, რომელსაც ასე კარგად სცოდნია ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ყადრი, ეს სიყვარული სპორტულ თემაზე შექმნილი ახალი, კარგი ქართული ფილმითაც გამოეხატა?!

**გ. გიგაური**

# მომავლის მიზანი

ფიზკულტურა კოლექტივებში

„ქარხანა იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს სახელისთვის“, — ასეთი ლოზუნგი მოგხვდებათ თვალში თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში. ამოცანა იოლი როდია, მაგრამ ყური მიუგდეთ საწარმოს თვითეული საამქროს, თვითეული ბრიგადის მაჯისცემას და დარწმუნდებით, რომ მათთვის შეუძლებელი არაფერია.

მთელი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანის შესრულებისთვის აქტიურად იბრძვიან ფიზკულტურელებიც. სპორტს კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქარხნის ცხოვრებაში: ჰყავთ 1.500 სპორტსმენი, მუშამოსამსახურეთა დიდი ნაწილი ჩაბმულია საწარმოო ტანვარჯიშში.

ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა გ. ფარულავამ, მეთოდისტებმა შ. მახარობლიშვილმა და ზ. მიქაბერიძემ თავიანთი საქმე კარგად იციან. მათ ბევრი რამ გაუკეთებიათ. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული ლოზუნგები, ფოტოსტენდები, დიაგრამები და ცხრილები, კედლის გაზეთი „სტარტი“, სპორტღონისძიებათა კალენდარი კოლექტივის მუშაობის ნათელ სურათს იძლევა.

სპორტსმენთა მონდომებამ, დირექციის მხარდაჭერამ სათანადო შედეგი გამოიღო. აქაური ფიზკულტურელები შიდასაკოლექტივო ღონისძიებებით როდი კმაყოფილდებიან, ისინი ძალებს ცდიან საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც და წარმატებითაც. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მოთხილამურეებმა II ადგილი დაისაკუთრეს. ქართული სტილის მოჭიდავეებმა პირველობა არავის დაუთმეს კასპში გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე. ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის პროფკავშირების სპარტაკიადაზე, რომელიც ფოთში ჩატარდა, ყველას აჯობეს აქაურმა მძლეოსნებმა და მაგიდის ჩოგბურთელებმა. მოჭადრაკეები უძლიერესნი არიან თბილისის „განთიადის“ სისტემის კოლექტივებს შორის.

უყვართ ტურიზმიც. ამ სახეობის მიმდევრებმა გ. თურქაძის ხელმძღვანელობით უკვე დალაშქრეს თიანეთი, მცხეთა-არმაზი, ბაზალეთის ტბა. განზრახული აქვთ მორიგი ლაშქრობისას გრემზნოს ეწვიონ. ყველა წარმატების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, კოლექტივის სიძლიერეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აქ 14 სპორტული სექცია მუშაობს, რომლებმაც ვალდებულება აიღეს მიმდინარე წლისთვის მოამზადონ 3 სპორტის ოსტატი, 25 პირველთანრიგოსანი, 60 მეორე და 300 მესამეთანრიგოსანი.

მაგრამ არის ნაკლიც. აუზის გაჭიანურებული მშენებლობის გამო არ მოხერხდა კალენდრით გათვალისწინებული საქარხნო პირველობის ჩატარება ცურვაში. არც ფეხბურთის მოედანი სახარბიელო მდგომარეობაში. ბაზების გარეშე არიან დარჩენილნი ძალოსნებიც და მოკრივეებიც. მხოლოდ ახლა წამოიწყეს ისეთი საინტერესო ღონისძიება, როგორიცაა „ჯანმრთელობის სპარტაკიადა“. საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები ამ ღონისძიებაზე ძალებს ცდიან მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, თევზჭერაში, სროლაში, ტურიზმსა და ნიჩბოსნობაში.

ქართველი ელმავალმშენებლები ძალებს არ ზოგავენ ხარვეზების აღმოსაფხვრელად და მომავლის საპატიო მიზნის მისაღწევად.

**თ. ველიანი**

ფოტოობიექტივით
ჩვენს ქვეყანაში

მოტორბოლაში უფელმა სპორტსმენებმა თავი ისახელეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპაშიც. ხაკმარისია ითქვას, რომ ამ ქალაქში მომზადდა 21 სპორტის ოსტატი, 40 პირველთანრიგოსანი და რამდენიმე ასეული სხვა თანრიგის სპორტსმენი. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ბ. სამოროდოვი არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. ს უ რ ა თ ზ ე თქვენ მას ხედავთ შეჯიბრების მომენტში (მარჯვნიდან პირველი).



* * *



უმძიმესი წონის არმიელმა ძალოსანმა ვ. სმეტანინმა ახლახანს კიევში დამთავრებულ სსრ კავშირის ჩემპიონატზე ოქროს მედალი დაისაკუთრა. ამავე დროს იგი ორი საკავშირო რეკორდის ავტორიც გახდა. აკვრაში მან 123 კილოგრამი აჩვენა, რაც მისსავე რეკორდზე ნახევარი კილოგრამით მძიმეა. სამჭიდის ჯამში 312,5 კილოგრამის დაგროვებით, მან მეორე საკავშირო რეკორდი დაამყარა. ნიჭიერ სპორტსმენს რამდენიმე წელია ტოლი არ ჰყავს ფიცარნაგზე. სამწუხაროდ, ვ. სმეტანინის წონითი კატეგორია არაოლიმპიურია და გზა ტოკიოსაკენ მისთვის დახშულია. ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნივ): ვ. სმეტანინმა დაძლია შტანგა.

ფოტო ი. კაპლუნისა (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იმედის მომცემი შედეგებით



საქართველოს კოლმეურნე ცხენოსანთა შეჯიბრების მომდევნო ორი დღე კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა. სამჭიდის ბოლო სახეობამ — დაბრკოლებათა გადალახვაში შეჯიბრებამ ლიდერის — გულრიფშელი დ. ხოფერიას პოზიციები ვერ შეარყია. იგი საბოლოოდ ჩემპიონი გახდა. დანარჩენ პრიზიორთა რიგებში ცვლილება მოხდა: მეორე ადგილზე გადაინაცვლა გალელმა რ. გუგუჩიამ, მესამეზე — გუდაუთელმა ა. პაპბამ.

დაბრკოლებათა გადალახვაში „სამონადირო პარკური" ჩემპიონობა დაისაკუთრა გუდაუთელმა ა. ლაკერბაიამ. მეორეზეა გულრიფშელი ნ. კვირკველია, მესამეზე — ზუგდიდელი გ. კოჩკიანი.

8 კილომეტრზე მარულაში მხოლოდ ჭაბუკები ასპარეზობდნენ. აქ ჩემპიონი გახდა გალელი გ. ლაზიშვილი. მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ხ. და ფ. ანდარბუები (გულრიფში).

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მინდორზე პირველად გამოვიდნენ „სოფლის ცხენოსანთა თასზე" დაბრკოლებათა გადალახვაში ასპარეზობის მონაწილენი. კვლავ ისახელა თავი გულრიფშელმა ნ. კვირკველიამ, რომელმაც ამ სახეობაშიც მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. მეორე მისი თანაგუნდელი ა. დოლუენკო იყო, მესამე — ზუგდიდელი გ. კოჩკიანი.

ორჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ამ დღეს ზუგდიდელი ხ. ხასია. ჯერ მან 3 კილომეტრზე თარჯდოლში გაიმარჯვა, შემდეგ კი 10-კილომეტრიან მარულაშიც ისახელა თავი. 3 კილომეტრზე თარჯდოლში მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს გულრიფშელებმა — ი. ნერგაძემ და ა. ფრანცუზოვმა.

10 კილომეტრზე მარულაში საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ გუდაუთელები კ. ჯენია და ვ. ტანია.

დაბრკოლებათა გადალახვაში („უმაღლესი კლასი") პირველი სამი ადგილი ზუგდიდელებს — ა. შონიას, ლ. ხორავასა და შ. გულორდავას დარჩათ.

ჭაბუკთათვის გაიმართა საქართველოს ორგზის ჩემპიონის ი. გოროზიას სახელობის პრიზის გათამაშება დაბრკოლებათა გადალახვაში. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ა. კრაინენკო (ზუგდიდი), ზ. ლაბაშია (გალი) და ტ. სიხარულიძე (ჩოხატაური).

ცხენბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ჩოხატაურისა და გუდაუთის სპორტსმენები. პირველთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 10:1.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ზუგდიდელმა სპორტსმენებმა.

ასეთ დიდ შეჯიბრებაში ხუთი სპორტსმენის (რ. გუგუჩია, ვ. ოძელაშვილი, ა. პაპბა, ა. შონია, ლ. ხორავა) მიერ სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება ნამდვილად სასიხარულო ფაქტია, მაგრამ სინანულით აღვნიშნავთ, რომ კვლავ გვიხდება (უკვე მერამდენედ!) ვიწრო გეოგრაფიული არეს შესახებ ლაპარაკი. მხედველობაში გვაქვს საქართველოს რაიონების წარმომადგენლობა ამ შეჯიბრებაზე. მხოლოდ 5 რაიონი (ზუგდიდი, გულრიფში, გუდაუთა, გალი, ჩოხატაური) მონაწილეობდა პირველობაში, მაშინ, როცა ახლო წარსულში ცხენოსნური ტრადიციებით ისეთი მდიდარი ქალაქებიდან, როგორიც ფოთი და სოხუმია, არამც თუ გუნდი, არამედ არც ერთი სპორტსმენი არ გამოდიოდა.

და კიდევ ერთი საკითხი. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ მაღალი კვალიფიკაციის მხედარი ვერ მომზადდება, თუ არ არის წმინდა სისხლის სპორტული ცხენები. ამ მხრივ კი რესპუბლიკაში ვერაფრით ვერ დავიკვეხნით. დროა რესპუბლიკაში აღდგეს ცხენსაშენი ქარხანა, მით უმეტეს, რომ ასეთი ქარხანა ჩვენში შესანიშნავ ცხენებს უშვებდა.

ა. ცეხანელი

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ჩოხატაურისა და გუდაუთის ცხენბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი. მარჯვნივ — საქართველოს კოლმეურნე ცხენოსანთა პირველობაში გამარჯვებული — ზუგდიდის გუნდი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სტუდენტთა საკავშირო ზონალური თამაშები კალათბურთში

# მატჩის გმირია ა. გლურჯიძე

ორი გამარჯვება აქტივში და 2 ქულა სატურნირო ცხრილში კარგი სტარტია, ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ, როცა საქმე გაქვს ისეთ კოლექტივთან, როგორიც მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდია, არ შეიძლება იმ რწმენით გამოხვიდე მოედანზე, თითქოს გამარჯვება „ჯიბეში გედოს".

დაიწყო მატჩი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟები შეტევაზე არიან, შემდეგ — მოსკოველთა საპასუხო იერიშები, და ანგარიშმა სტუმრების სასარგებლოდ იწყო ზრდა. მე-5 წუთზე უკვე 11:3 მოსკოველთა სასარგებლოდ. მასპინძლების იერიშებს შედეგი არ მოაქვს. „ფორმაში" არ არის თბილისელთა ცენტრი ი. ლეჟავა. დანარჩენებიც საკმაოდ სცოდავენ. მოსკოვის გუნდი ტაიმს 7 ქულის სხვაობით (28:21) იგებს.

მეორე ნახევრის პირველ წუთებზე დაძაბულობა და ნერვიულობა მატულობს, მაგრამ სტუმრები პოზიციებს არ თმობენ და 25-ე წუთზე კვლავ 7 ქულის სხვაობით არიან წინ — 40:33.

დამარცხება?.. არა! ბრძოლა ყოველი ბურთისთვის, ყოველი ქულისთვის, ტემპი და ტემპი!.. აი, რა სჭირდება ჩვენს გუნდს ამ მომენტში. ინიციატივა ა. გლურჯიძემ აიღო ხელთ. სწორედ მისი თავგამოდებული თამაშის წყალობით გუნდმა შეძლო წონასწორობის აღდგენა და 33-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 47:47. ამის შემდეგ კი... დაიწყო მოსკოველთა ფარის ხანგრძლივი შტურმი. 6 წუთში თბილისელებმა 5 საჯარიმო და 4 ორქულიანი ტყორცნა განახორციელეს და მატჩის ბოლო წუთებში უკვე 14 ქულით დაწინაურდნენ. აქ კი სტუმრები შეურიგდნენ დამარცხებას — 50:69.

საინტერესოდ წარიმართა საქართველოს პოლიტექნიკური და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ქალთა გუნდების შეხვედრაც. პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ტაიმის დასასრულს უპირატესობას მაინც მასპინძლებმა მიაღწიეს — 28:25.

მეორე ნახევარში ჩვენმა გუნდმა უმატა ტემპს, რასაც ვერ გაუძლო მეტოქემ და დამარცხდა — 43:57.

მოგვყავს II ტურის დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: **ქალები** — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (კაუნასი) — ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ვორონეჟი) 70:34, **ვაჟები** — აზერბაიჯანის ნავთობის ინსტიტუტი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ჩელიაბინსკი) 67:61, საფეიქრო ინსტიტუტი (ტაშკენტი) — პედაგოგიური ინსტიტუტი (ოდესა) 43:67.

III ტურში მატჩები ასე დამთავრდა: **ქალები** — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (აზერბაიჯანი) 45:30, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ვორონეჟი) 65:51. **ვაჟები** — სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოსკოვი) — საფეიქრო ინსტიტუტი (ტაშკენტი) 70:49, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ჩელიაბინსკი) 73:43, პედაგოგიური ინსტიტუტი (ოდესა) — აზერბაიჯანის ნავთობის ინსტიტუტი 70:30.

ვ. ხანდამიშვილი



სურათზე: ერთმანეთს ხვდებიან საქართველოს პოლიტექნიკური და ტაშკენტის საფეიქრო ინსტიტუტების ვაჟთა გუნდები. იერიში სტუმრების ფარზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## 157,23 კმ საათში

შტუტგარტი. 500 კბ სმ მოტოციკლებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის VII ეტაპზე უკვე გამოვლინდა მსოფლიო ჩემპიონი. ეს მაღალი წოდება მესამედ ზედიზედ მოიპოვა ინგლისელმა მაიკ ჰეილვუდმა. მან 18 რკალი დაფარა საათში საშუალო 157,23 კმ სისწრაფით.

გფრ-ის წარმომადგენელმა მაქს დეიბელმა მეოთხედ ზედიზედ მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ნავიანი მოტოციკლებით რბოლაში.

## ახალი ამბები

● ალმა-ატა, 19 ივლისი. მსოფლიო რეკორდების გასაუმჯობესებლად მოეწყო პარაშუტისტთა ხტომები ღამით. ამოცანის განხორციელება შეძლო ლ. პირმაკმა. იგი გადმოხტა 3.500 მეტრის სიმაღლიდან და მიწაზე დაშვებისას ცენტრს დაცილდა მხოლოდ 1,95 მეტრით, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

● ლენინგრადი, 20 ივლისი. (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის XI ეტაპი მოტოკროსში 250 კუბატურის მანქანებისთვის. სტარტზე გამოვიდა 13 ქვეყნის 42 სპორტსმენი. მოეწყო ორი გარბენი. პირველი გარბენი მოიგო შვედმა ა. ჯონსონმა. მეორე გარბენში დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები ვ. არბეკოვი და ს. გრიგორიევი. ჩემპიონატის ლიდერი, ბელგიელი ჟ. რობერი სტარტზე ჩამორჩა, მაგრამ მეორე წრიდან თანდათან გამოასწორა მდგომარეობა, გაასწრო გრიგორიევსაც და ფინიშზე მეორე მივიდა. გაიმარჯვა არბეკოვმა. ორი გარბენის ჯამში პირველობა წილად ხვდა ბელგიის არმიის 22 წლის ჯარისკაცს ჟ. რობერს, რაც საკმარისი აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, რადგან წინა 10 ეტაპში მან 6 მოიგო (დებულებით 14 ეტაპიდან ჩემპიონობისთვის საკმარისი იყო 7 ეტაპის მოგება). მომდევნო საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები არიან: ე. ჰაიმანი (შვეცია), არბეკოვი და გრიგორიევი. მე-12 ეტაპი შედგება პოლონეთში.

● მოსკოვი, 19 ივლისი. ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატზე დღეს გათამაშდა „დიდი პრიზი". შესანიშნავად გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის არაერთგზის პრიზიორი ს. ფილატოვი. მან ამ შეჯიბრებაზე უმაღლესი შეფასება მიიღო და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მერვე ოქროს მედალი მოიპოვა. ახლა ს. ფილატოვი ტოკიოს ოლიმპიადის პირველი ადგილის მთავარ პრეტენდენტად მიაჩნიათ.

● კრაკოვი, 19 ივლისი. დაიწყო სტუდენტ-მოჭადრაკეთა მორიგი მსოფლიო გუნდური პირველობა. ყოველ გუნდში 5-5 სპორტსმენია. ჩვენი ქვეყნის ნაკრები I ტურში შეხვდა მონღოლეთს და დაამარცხა იგი 2,5:1,5 (ერთი პარტია გადადებულია). აშშ-ის გუნდი დამარცხდა პოლონეთთან.

# თბილისის „ბურევესტნიკი" — „ა" კლასში

სევასტოპოლში დამთავრდა „ბ" კლასის წყალბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა 12 კოლექტივი. შეჯიბრება მიმდინარეობდა 3 ქვეჯგუფში, 2-2 გამარჯვებული ქმნიდა ფინალურ ჯგუფს.

თბილისის „ბურევესტნიკმა" მოუგო ხარკოვის „დინამოს" (4:2), მინსკის „კრასნოე ზნამიას" (7:1), ხოლო დამარცხება განიცადა სევასტოპოლის გუნდთან — 1:3. ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივი გავიდა ფინალში. აქ ორ მატჩში გამარჯვების შემდეგ, თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა კიევის არმიელებს. თამაშის დამთავრებამდე 7 წამით ადრე, როცა წინ იყვნენ კიეველები, ა. შაშკინმა გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1, რის წყალობით თბილისის „ბურევესტნიკმა" მოიპოვა უფლება მომავალი წლიდან ითამაშოს „ა" კლასში. ამ კოლექტივის გარდა უმაღლეს ლიგაში გადავიდნენ კიევის არმიელები და სევასტოპოლელი მეზღვაურები.

## „ა" კლასი

### საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში

(II ჯგუფი, II ქვეჯგუფი)

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივლისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 18 | 9 | 8 | 1 | 21—7 =+14 | 26 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 18 | 9 | 5 | 4 | 26—14=+12 | 23 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 18 | 8 | 3 | 7 | 24—22=+2 | 19 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 18 | 7 | 5 | 6 | 17—16=+1 | 19 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 18 | 8 | 3 | 7 | 17—16=+1 | 19 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 18 | 6 | 7 | 5 | 15—15 =0 | 19 |
| „არარატი" (ერევანი) | 18 | 5 | 8 | 5 | 17—12=+5 | 18 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 18 | 6 | 6 | 6 | 20—18=+2 | 18 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 17 | 4 | 9 | 4 | 11—9 =+2 | 17 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 18 | 5 | 7 | 6 | 15—22=—7 | 17 |
| „დინამო" (ტალინი) | 17 | 4 | 7 | 6 | 15—16=—1 | 15 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 18 | 5 | 5 | 8 | 14—19=—5 | 15 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 19 | 5 | 5 | 9 | 20—33=—13 | 15 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 19 | 2 | 8 | 9 | 7—19=—12 | 12 |

## დუბლიორები — უმაღლეს დონეზე

ძალზე საინტერესო გამოდგა გასულ კვირას გამართული მატჩი თბილისისა და კიევის დინამოელთა დუბლიორებს შორის. ბრძოლის სიმწვავეს განაპირობებდა თუნდაც ის გარემოება, რომ კიეველები 23 ქულით I ადგილზე იმყოფებოდნენ აღნიშნული ტურისთვის, ხოლო თბილისელები 20 ქულით II-III ადგილებს იყოფდნენ „შახტიორთან" ერთად.

სტუმრებმა ძალზე ძლიერად ჩაატარეს მატჩის დასაწყისი. მათი თავდასხმა საუკეთესოდ მოქმედებდა და პირველი ათიოდე წუთის განმავლობაში ნაზაროვმა და ერემენკომ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს ლეჟავას კარში — 2:0.

მაგრამ ამ მძიმე სიტუაციაში ახალგაზრდა თბილისელმა ფეხბურთელებმა გამოამჟღავნეს დიდი მორალური სიმტკიცე, გამარჯვებისადმი შეუნელებელი სწრაფვა, და, რაც მთავარია, შესანიშნავი კოლექტივიზმი. უკვე ტაიმის დასასრულისთვის მაისურაძემ და ილიადიმ შეძლეს ორი საპასუხო ბურთის გატანა.

შესვენების შემდეგ ხარტიშვილმა და ისევ მაისურაძემ კიდევ თითოჯერ აიძულეს კიეველები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და თბილისის „დინამოს" დუბლიორებმა დამსახურებულად მოიგეს მატჩი — 4:2.

## „ბ" კლასი

გასულ კვირას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „დინამო" (ბაქო) — „თერგი" (გროზნო) 1:2, „დინამო" (სტავროპოლი) — „დინამო" (ბათუმი) 2:1, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „კოლხიდა" (ფოთი) 2:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „დინამო" (სოხუმი) 3:2, „შირაქი" (ლენინაკანი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:2, „ლორი" (კიროვაკანი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:1, „შრომითი რეზერვები" (კამიშინოდი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 0:0.

## ა. რამსეი: „ჩემპიონატი, რომელზეც დიდ იმედს ვამყარებთ“

ინგლისის მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატს, ნაკრების მწვრთნელის ა. რამსეის სიტყვით, დიდი მნიშვნელობა ექნება მსოფლიო პირველობისთვის მზადებაში. ნაკრების მოთამაშეები სეზონის მანძილზე ძირითადად თავიანთ კლუბებში გაივლიან წვრთნას.

ახლა რამსეი სწავლობს გასული ჩემპიონატის შედეგებსა და წამყვანი გუნდების შესაძლებლობებს. ინგლისის ჩემპიონ „ლივერპულში“ ყურადღებას იპყრობენ ნახევარმცველები მილნი, იეტსი და სტივენსონი. მილნს, რომელიც ახლა ნაკრების „შტატიანი“ მოთამაშეა, საუცხოოდ შეუძლია თავდასხმის დახმარება; ძალიან ღონიერი იეტსი (187 სმ სიმაღლე, 90 კგ წონა) და სტივენსონი არავის უთმობენ მინდვრის შუაგულს. „ლივერპულის“ თავდასხმაში რამსეის განსაკუთრებით მოწონს ჰანტი, რომლითაც იგი თითქოს გრივსის შეცვლას აპირებს.

ინგლისის გასული წლის ჩემპიონი „ევერტონიც“ ქ. ლივერპულის გუნდია. აქ თავი გამოიჩინა „ბლეკბერნ როვერსიდან“ 80 ათას გირვანქა სტერლინგად ნაყიდმა ცენტრფორვარდმა პიკერინგმა. მან კალენდარულ თამაშებში 33 გოლი გაიტანა და ნაკრებშიც სმიტის ადგილი დაიკავა. ახლა საქმე ისაა, თუ როგორ შეეწყობა პიკერინგი თავის პარტნიორებს ნაკრებში.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისში ერთადერთი გუნდია, სადაც 18 სეზონის მანძილზე მწვრთნელი არ გამოცვლილა. ბ. ბასბის ასეთმა ხანგრძლივმა მუშაობამ ნაყოფიც გამოიღო და „მანჩესტერ იუნაიტედი“ დღეისთვის ინგლისში ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია. რამსეის განსაკუთრებით აღელვებს ამ გუნდისა და ნაკრების ცნობილი სნაიპერის — ბ. ჩარლტონის საკითხი. მთელი სეზონის მანძილზე იგი „უქეიფოდ“ იყო. თუ ასე გაგრძელდა, მწვრთნელი აპირებს მასაც მოუნახოს „დუბლიორი“ ტომპსონის („ლივერპული“) სახით.

ჩემპიონატის თამაშებთან ერთად რამსეის განზრახული აქვს რამდენიმე ხანმოკლე საწვრთნელი შეკრების მოწყობაც.

# „სპორტის მეგობარი“ დასავლეთგერმანულად

სპორტის საზღვარგარეთ

1.

რურის ცნობილი ფირმის „ე. მატესი და ვებერის“ ტექნიკური დირექტორი, დოქტორი ფინგერი სავარძელში იჯდა და თავის საყვარელ სიგარას აბოლებდა. მას მეტად უსიამოვნო ლაპარაკი ელოდა, რომლის დაწყება არც თუ იოლი იყო. როგორც იქნა, ფინგერის თითი დაწვდა ზარის ღილაკს: „ევრარდი, სასწრაფოდ!“

ოტო ევრარდი, როგორც ყოველთვის, თავის სამუშაო ადგილზე გახლდათ. „რაში დავჭირდი?“ — გაიფიქრა. მან კარგად იცოდა, რომ ჰერ ფინგერი ტყუილუბრალოდ არ გამოიძახებდა. სამუშაოზე ევრარდს მუდამ წესრიგი ჰქონდა. იქნებ გამოძახება სპორტთანაა დაკავშირებული? დოქტორ ფინგერს, როგორც სხვა ფირმების დირექტორებს, ძალზე უყვარს თავისის თავის „შპორტ-ფროინდად“ — სპორტის მეგობრად „გასაღება“.

ფინგერმა საუბარი ასე დაიწყო. „მე გამოვდივარ დირექციის სახელით. იქ გამგზავრება არ უნდა მოხდეს. გაიგეთ, ჩვენ თქვენთვის კარგი გვსურს და ამიტომ გაძლევთ ასეთ რჩევას. სხვაგან თქვენ უბრალოდ გაგათავისუფლებდნენ, ჩვენ კი ჭკუას გარიგებთ. და თუ არ ისარგებლებთ ამით, შეიძლება უსიამოვნებაც მოხდეს...“

ახლა ევრარდისთვის ყველაფერი გასაგები იყო. გასულ შემოდგომაზე „მატესი და ვებერის“ ფირმის მუშათა სპორტულმა კოლექტივმა გადაწყვიტა ამხანაგური შეჯიბრება გაემართა გდრ-ის რომელიმე საწარმოსთან.

და აი, ამას წინათ გდრ-ს ტერიტორიაზე უნდა შემდგარიყო „მატესი და ვებერის“ და „ხემი ვოლფენის“ ფირმების სპორტსმენთა შეხვედრა. გაიკრა აფიშები, 25 სპორტსმენმა გფრ-იდან სპეციალური შვებულება აიღო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გასამგზავრებლად. მაგრამ...

მუშები დიდხანს თათბირობდნენ, მათ იცოდნენ დოქტორ ფინგერის სიტყვის ფასი. გაემგზავრო გდრ-ში, ეს ნიშნავს — დაკარგო სამუშაო, ოჯახი დატოვო უსახლკაროდ, საარსებო სახსრების გარეშე. მხოლოდ ერთხელ იხმარა „შპორტფროინდმა“ ფინგერმა საშინელი სიტყვა „დათხოვნა“. მაგრამ ეს საკმარისი იყო. გამგზავრება არ მოხდა...

2.

დასავლეთ გერმანიის მეორე ნაწილში — ბავარიაში — სიტყვა „დათხოვნა“ გამოჩნდა გაზეთების ფურცლებზე. მართალია, სხვა მიმართებით.

ბავარიის სახელმწიფო მრჩეველს დოქტორ რუდოლფ იზმაიერს წინადადება მისცეს სამუშაო დაეტოვებინა. მასაც, როგორც რურელ მუშებს, დათხოვნით დაემუქრენ. „თქვენ იცით, რომ მიყვარს სპორტი, მე ძველი „შპორტფროინდი“ ვარ“, — უთხრა იმაიერს მისმა უფროსმა. — „ვიცნობ თქვენს დამსახურებას სპორტში, ღმერთმანი, უკეთესი იქნება, თუ დატოვებთ ჩვენს დაწესებულებას და სპორტულ საქმიანობას გააგრძელებთ სამუდამო შვებულებაში, მით უმეტეს, რომ თქვენ თავს ვერ ართმევთ სამუშაოს.

რუდოლფ იზმაიერს კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები. შესანიშნავმა ძალოსანმა 1932 წელს მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი. ომამდე იზმაიერი სპორტსმენი იყო. ომმა, რომელმაც მისი ასობით მეგობარი იმსხვერპლა, იგი მშვიდობისთვის გულად მებრძოლად გადააქცია. 1954 წელს იზმაიერმა მიმართა დასავლეთგერმანელ პრეზიდენტს ჰეისს წერილით, რომელშიც მკაცრად გაკიცხა გფრ-ის მილიტარისტული პოლიტიკა. 1957 წელს მან აიღო 18-დღიანი შვებულება, რათა დასწრებოდა სტუდენტთა მსოფლიო თამაშებს მოსკოვის ფესტივალზე. 1960 წელს რომის ოლიმპიური თამაშების დროს, ვილჰელმ პიკის გარდაცვალების სამგლოვიარო ცერემონიალთან დაკავშირებით. იზმაიერმა გერმანიის მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს სპორტსმენებს გადასცა „სამძიმარი გფრ-ის ყველა სპორტსმენის სახელით“.

აი, თურმე რაში გამოიხატება „თავს ვერ ართმევ სამუშაოს“.

მაგრამ იზმაიერმა არ დატოვა სამუშაო. მამაცმა სპორტსმენმა და მებრძოლმა გამოწვევა მიიღო. მან სასამართლოში უჩივლა ბავარიის ხელისუფლებას, სურდა მიეღო ნათელი პასუხი — რატომ „ვერ ართმევს სამუშაოს თავს იზმაიერი?“

„ამერიკაში, — წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, — ოლიმპიურ ჩემპიონს ცხოვრების საშუალება არა აქვს იმიტომ, რომ მისი კანი შავია. დასავლეთ გერმანიაში ოლიმპიურ ჩემპიონს ითხოვენ იმიტომ, რომ მთავრობა შავია. თუმცა უფრო სწორად — ყავისფერ-შავია, რადგან ბავარიაში ჰიტლერის თაყვანისმცემელნი კვლავ პატივისცემით სარგებლობენ.

3.

„პატივცემული ადამიანები“ შეიკრიბნენ ამას წინათ ვისბადენში დასავლეთ გერმანიის სპორტული კავშირის — შპორტბუნდის სხდომაზე. რასაკვირველია, ყველა მათგანი „შპორტფროინდია.“ მაგალითად, შპორტბუნდის პრეზიდენტი ვილი დაუმე ისევე, როგორც ზემოთხსენებული მატესი და ვებერი, ფირმას ფლობს რურში და ამავე დროს ჩინებულად იცნობს დოქტორ ფინგერს. ამ „სპორტის მეგობარმა“ ვისბადენში წარმოთქვა ფრიად გულახდილი სიტყვა. პირველ ყოვლისა, დაუმემ გაკიცხა ისინი, ვინც მოითხოვს შპორტბუნდის გადაწყვეტილების გაუქმებას გდრ-სთან სპორტული კონტაქტების აკრძალვის დარგში. ამ ადამიანების კატეგორიაში დაუმეს მხედველობაში ჰყავდა ალბათ ოტო ევრარდი, რუდოლფ იზმაიერი და მისთანები. თურმე ეს ადამიანები ვერ ერკვევიან სპორტის პრობლემებში. მაშ, ვინლა ერკვევა: პრეზიდენტის გარდა, ცხადია, ბუნდესვერი. დიახ, ყოფილი ჰიტლერელი გენერლები, ამჟამად ბუნდესვერის გენერლები წინანდებურად დაკავებული არიან საზარბაზნე ხორცის დამზადებით.

ვილი დაუმეს მხარი დაუჭირა ერთმა მაღალი პოსტის „სპორტის მეგობარმა“. ვისბადენში გამართულ სხდომაზე გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ისიც „შპორტფროინდი ხეხერლი“, — იუწყება დპა-ს (გფრ) სააგენტო. ბატონმა ხეხერლმა ხოტბა შეასხა შპორტბუნდის პრეზიდენტს და ხმამაღლა, ყველას გასაგონად განაცხადა: „სპორტი იყო და დარჩება თავისუფლად ფედერაციულ რესპუბლიკაში“.

ჰერ მინისტრს ალბათ მხედველობაში ჰქონდა ის თავისუფლება, რომელიც საკუთარ თავზე გამოცადეს ევრარდმა, იზმაიერმა და გფრ-ის სხვა ათასობით სპორტსმენმა.

ა. ბურკოვი,
ახალი ამბების სააგენტოს სპორტული კომენტატორი.





# თუ ეს ფეხბურთია?!.

როგორც ჩანს, ცუდი მაგალითიც გადამდებია... ლიმას სტადიონზე მომხდარმა ტრაგედიულმა ამბებმა „გამოძახილი“ ევროპაშიც ჰპოვა. სურათებზე თქვენ ხედავთ ათენში გამართული საფეხბურთო მატჩის შედეგს. დააკვირდით ფოტოსურათებს: განა შეიძლება იგი ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრას გამოხატავდეს? ეს ხომ უფრო საჰაერო დაბომბვის შედეგსა ჰგავს?

წარმოიდგინეთ, რომ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა ათენის სტადიონზე. მატჩი „პანათენაიკოსსა“ და „ოლიმპიაკოსს“ შორის ფრედ (1:1) მთავრდებოდა. და როდესაც ფეხბურთელებს მხოლოდ 4 წუთი დარჩათ სათამაშო, მაყურებელმა სტადიონის შტურმით აღება გადაწყვიტა. შემდეგ ყველაფერი წარიმართა ისე, როგორც იაფფასიან ამერიკულ ფილმებში ხდება — არის დამტვრეული ტრიბუნები, არის მსხვერპლი. არ არის მხოლოდ... წმინდა სპორტული სანახაობა, რასაც, ფეხბურთი ჰქვია.

# უკმაყოფილოა ყველა... მწვრთნელის გარდა

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები შეუდგა მზადებას მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატისათვის. შესარჩევ ჯგუფში იტალიელთა მეტოქეები იქნებიან შოტლანდიელები, პოლონელები, ფინელები. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ აქ ძირითადი ბრძოლა იტალიასა და შოტლანდიას შორის უნდა გაიმართოს.

იტალიის პრესა ჯერჯერობით უკმაყოფილოა გუნდის მომზადებით. შვეიცარელებთან ანგარიშით 3 : 1 მოგებამაც კი ვერ მოუბრუნა გული მიმომხილველებს, თუმცა უკანასკნელად ამ გუნდს იტალიელებმა მხოლოდ 1936 წელს ძლიეს. გაზეთები წერენ, რომ „ეს მოგება არაფერს ნიშნავს“, „შვეიცარელები თამაშობენ იტალიის მესამე ლიგის გუნდის დონეზე“, „ეს იყო ჩვენი ნაკრების ყველაზე უარესი თამაში“ და ა. შ.

ერთადერთი კაცი, რომელიც კმაყოფილებას გამოთქვამს ნაკრების თამაშით, იტალიელთა მწვრთნელი ე. ფაბრი გახლავთ. მას განსაკუთრებით მოსწონს მაცოლასა (№ 9) და კორსოს (№ 11) თამაში. რაც შეეხება რივერას (№ 10), იგი იანვარში მიღებული ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ არაა ფორმაში, თუმცა მწვრთნელს კვლავინდებურად იმედი აქვს ამ ნიჭიერი ფეხბურთელისა.

ფაბრიმ ნაკრები დაატოვებინა ერთადერთ „ორიუნდის“ (უცხოეთში დაბადებულ იტალიელს) — სორმანის, რომელიც, მისი აზრით, არ აკმაყოფილებს თანამედროვე ცენტრფორვარდისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

## ალემონსაზღვართ, ლასანზღვართ, ოკეანეთ, საშხართი...

▲ **მილანი.** ესპანელმა ფეხბურთელმა ლუის სუარესმა, რომელიც მილანის „ინტერნაციონალეს“ კაპიტანია, 3 წლით განაახლა კონტრაქტი თავის კლუბთან. ამ ოპერაციაში ფეხბურთელმა 90 მილიონი იტალიური ლირა მიიღო.

▲ **მადრიდი.** ალფრედო დი სტეფანომ ვერასგზით ვერ მოახერხა „რეალიდან“ ბარსელონის „ესპანიოლაში“ გადასვლა. ფეხბურთელის განზრახვას ამჯერად წინ აღუდგა „რეალის“ მეპატრონე, მილიონერი სანტიაგო ბერნაბეუ. მას ვითომდა სურს დიდის პატივით „გააფორმოს“ დი სტეფანოს გაცილება. „ამ მიზნით, — თქვეს კორესპონდენტებმა, — ბერნაბეუმ განიზრახა სიმბოლიური მატჩის მოწყობა „რეალსა“ (დი სტეფანოს მონაწილეობით) და ევროპის ნაკრებს შორის, რომელშიც გამოვლენ (ესეც ბერნაბეუს აზრით) იაშინი, რივილე, გრივსი, ფაკეტი, ვორონინი, სუარესი, ეუსებიო, მაცოლა, სივორი, ლოუ და კოლერი.

▲ **პარიზი.** საფრანგეთში ჩატარდა მედიცინისა და სპორტის მუშაკთა გაერთიანებული თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა გენერალი დე გოლი. მთავრობის მეთაურმა მკაცრად გააკრიტიკა ის მწვრთნელები და მენაჯერები, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ დოპინგს. დე გოლმა განაცხადა, რომ მკაცრად დაისჯება ყველა (მათ შორის სპორტსმენებიც), ვისაც კი დოპინგის მიღებაში შეამჩნევენ.

▲ **ბუენოს-აირესი.** არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ აქედანვე მოკიდა ხელი მსოფლიოს 1966 წლის პირველობის სამზადისს. ამ ქვეყნის ნაკრებს 1965 წელს განზრახული აქვს შეხვდეს რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს. ამას გარდა, არგენტინელები მთელ რიგ ამხანაგურ მატჩებს გამართავენ საკლუბო გუნდებით. ისინი შეხვდებიან „ინტერნაციონალეს“, „მილანს“, ურუგვაისა და ბრაზილიის კლუბებს.

▲ **ციურიხი.** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა ევროპის ქალთა IX ჩემპიონატის მონაწილეთა სია. „ა“ ქვეჯგუფში მოხვდნენ: სსრ კავშირი, რუმინეთი, იუგოსლავია, უნგრეთი და საფრანგეთი; „ბ“ ქვეჯგუფში — ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, პოლონეთი, იტალია და გდრ.

▲ **ბერლინი.** როგორც პოლონეთის გაზეთი „სპორტი“ იუწყება, გდრ-ის ველოსიპედისტთა ნაკრებ გუნდში არ მოხვდა მსოფლიოს ექსჩემპიონი გუსტავ ადოლფ შური.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



## კენტო ახალ ამპლუაში

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ვიუწყებოდით, რომ სახელგანთქმულმა ესპანელმა ფეხბურთელმა ფრანცისკო ჰენტომ ტორეადორობა გადაწყვიტა. მისი დებიუტი ახალ ამპლუაში წარმატებით აღინიშნა.

სანტანდერის პროვინციაში ჰენტოს პირველ გამოსვლას დიდძალი მაყურებელი დაესწრო. კორიდამ უმსხვერპლოდ ჩაიარა. ბრძოლის შემდეგ ჰენტომ კორესპონდენტებს განუცხადა: „ჩემი ახალი პროფესია ისეთივე ტემპერამენტიანი და ლამაზია, როგორც ფეხბურთი. საფრთხის რაღაც გარკვეული პროცენტი აქ უდავოდ არის, მაგრამ მისგან არც ფეხბურთის თამაშის დროს ვიყავი დაზღვეული“.

## მოსალოდნელია ხიფათი...

სურათზე თქვენ ხედავთ კორიდის მონაწილეებს არენაზე. ჯერჯერობით ყველანი თავიანთ ადგილებზე არიან: ტორეადორიც, ხარიცა და მაყურებელიც, მაგრამ ყოველ წუთშია მოსალოდნელი ხიფათი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01302